

**სომხურ-თურქული კონფლიქტის გამომავალი
ქართველი მწერლების ნააზრევში
(წერილი პირველი: გრიგოლ რობაქიძე)**

კონფლიქტები, ლოკალური თუ გლობალურ-მასშტაბური... კაცობრიობის თანამდევნი სენია. ცხადია, სხვადასხვაგვარია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, წარმოშობის წყაროები და აღმოფხვრის გზებიც. ამ მხრივ, სხვა საუკუნეთაგან, ჩვენი რეგიონისათვის (კავკასიისათვის) XX საუკუნის 20-იანი და 90-იანი წლები გამოირჩა, რომლის „მოსავალს“ ახლაც ვიმკით. ქართველი სპეციალისტები ერთგვარი არაორაზროვანი და არარიტორიკული შეძახილით ხშირად გვაფრთხილებენ და შეგვახსენებენ: „ჩვენთვის ახლაც საშიში და თავსატეხია XX საუკუნის I მეოთხედის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის „პიკის“ ამსახველი დოკუმენტი – „ყარსის ხელშეკრულება“ – წინდაუხედავი შეთანხმების შედეგი (ასევე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მე-4 სპეციალური მუხლი) იმდროინდელი საქართველოსა („ეროვნული საბჭო“) და ამიერკავკასიის ქვეყნების (სეიმის) „გამყიდვლური“ ქვეყნის მართვა-გამგებლობა „დამოკლეს მახვილივით“ რომ აღგვმართვია თავზე“ [1, 12]. მართლაც, მაშინ ბაქოელმა მუსავატელებმა პროთურქული ორიენტაციით თავი გამოიჩინეს, იმავდროულად „თურქეთის არმიები კი, რადგანაც წინააღმდეგობას აღარავინ უწევდა, წინ მოდიოდნენ და სომხეთისა და საქართველოს მიწებს ზედიზედ იკავებდნენ“ [2, 4].

პირველმა მსოფლიო ომმა, რუსეთის ცარისტული იმპერიის „ბოლშევიკურად“ დაშლა-გარდასახვამ, აგრეთვე ეთნიკურ-სეპარატისტულმა განწყობამ, წარმოშვა სამხრეთ კავკასიელთა (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) თითქმის „მკვდრადშობილი“, დროებითისახელმწიფო წარმონაქმნი, უკეთ, ერთობილი სახელმწიფო „კავკასიის სეიმი“. თურქულ-აზერბაიჯანულ-სომხურ-ქართულმა პოლიტიკურმა „ნაჯექ-უკუჯექობის“ თავჩენამ უარყოფითად იმოქმედა ამ ქვეყნების შემდგომ ურთიერთობებზე, მეტიც: სომხურ-თურქულმა დაპირისპირებამ (რაშიც წვლილი სომხებისა და თურქების გარდა გერმანიას, მაშინდელი ანტანტის... ქვეყნებს, განსაკუთრებით რუსეთს, მიუძღვის), ზოგი მკვლევრის ახსნით, გენოციდის სახეც კი მიიღო [3, 73; 4]. ჩვენი აზრით, „თქმა იმისა, რომ ეს თურქთაგან სო-

მეხტა გენოციდი იყო თუ არა, არც ისე ადვილი გამოსარკვევია. ამ საკითხს სპეციალური კვლევა, ფაქტების (სარწმუნო!) ყოველგვარი შემონიშნა-შეჯერება სჭირდება" [5, 360].

საეკლესიო თუ სახელმწიფო სამეცნიერო უთანხმოებანი, „პოლიტიკური აბრაკადაბრა“ დღესაც გრძელდება. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი თუ მკვლევარი არაიშვიათად ისტორიული სინამდვილის გამყალბებლის როლში გვევლინება. ასეთები არად დაგიდევენ ქართველ-სომეხთა ისტორიულ და ნათესაურ ერთობას. ქართველებისადმი განსაკუთრებულ და გამორჩეულ სიავეს სომხები ქართველების ეთნოყოფითი და ლინგვოკულტუროლოგიური ფაქტების მიმართ ავლენენ. გვეცილიებიან ყველას და ყველაფერს, რაც ჩვენია ისტორიულად თუ ეთნიკურად. მათთვის რუსთაველი სომეხია, სტალინიც – სომეხი, თბილისიც – სომხების ქალაქი, კიდევ უფრო მეტიც: აღმოსავლეთ საქართველო სომხების ტერიტორიაა, თვით ზუგდიდის ეკლესიაც კი სომხური ყოფილა [6, 28] და ა. შ.

მიუხედავად ასეთი არაერთი ძველი თუ თანამედროვე აბრუნდისა, „ოდითგანვე უდიდესი ძმობა და ურთიერთპატივისცემა აკავშირებდა ქართველ და სომეხ ხალხებს, ერთის სიხარული მეორის სიხარული იყო, ერთის გაჭირვება მეორის ტკივილი.... უჩვეულოდ რაინდული და თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ ყოველთვის ქართველ და სომეხ მწერლებს – ერთიანი მიზანი, ჭირი თუ დალხინება“, წერს მწერალი ავთანდილ ჩხიკვიშვილი 1990 წელს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე [7, 4].

ქართველები რომ ტოლერანტები ვართ, ეს დიდიხანია ყველასათვის ცნობილია. ქართველთა გონიერ ნაწილს არასდროს დაუკარგავს რეალობისა და რეალურობის შეგრძნება, წონასწორობა, განსჯა-მედიტაცია და ობიექტური შეფასება.

ამ მხრივ, თურქულ-სომხურ კონფლიქტთან თუ გენოციდთან დაკავშირებით, საინტერესოა ქართველი მწერლების დამოკიდებულება – როგორ განიცდიან და აფასებენ ისინი ეთნოკონფლიქტი, ომით გამონვეულ ტრაგიკულ სინამდვილეს.

დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე გამორჩეულად მეგობრობდა ქართველ, ებრაელ, ავსტრიელ, გერმანელ, ბერძენ, რუს, აზერბაიჯანელ, სომეხ კოლეგებს; სომეხთაგან განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოვანეს თუმანიანთან.

გრიგოლ რობაქიძემ მხატვრულ-ლიტერატურული ნარკვევი „ჰაიასტან“ პირველად 1929 წელს „ქართულ მწერლობაში“ (№6) გამოაქვეყნა. დიდი მწერალი და მოაზროვნე ერთ ადგილას თურქეთიდან

გადმობეჭდილი სომხების შესახებ წერს: „ერმიაძინთან ტყე იყო. ეს ტყე ლტოლვილებმა გაანადგურეს 11 წლის წინად. ხოლო ლტოლვილებიც განადგურდნენ. 30.000 ლტოლვილი დაიხოცა აქ: უკარო, უმწეო, სწეული, დამძეული“.

მწერლის შეფასებით, ეს „ისტორიის საშინელება“ [8, 4]. იქვე გრ. რობაქიძე თურქეთიდან დევნილობაში მყოფიერთ-ერთი სომეხი ლტოლვილის უკიდურესი ყოფითი შეჭირვების გამო დიდი გულისტკივილით აღნიშნავს: „ერევნის ახლო, ათი წლის წინად, დასახლდა ერთი ლტოლვილი. ოჯახი სადღაც დაიკარგა, თვითონ დარჩა: მარტოდ მარტო. მასთან ორი პატარა ბავშვი იყო მხოლოდ, მაგრამ „დასახლდა“ კი? მან აიღო პატარა ნაჭერი მიწა. შავი ქვებისაგან ქოხი ააგო. გამართა კერა. ცეცხლი აანთო, მაგრამ ხარი? მაგრამ ცხენი? მაგრამ ძროხა? სად ჰყავდა მას ხარი ან ცხენი, ან ძროხა? „სახლს“, „კერას“ კი ბევრი რამ უნდა.

ლტოლვილი მიდის ბაზარში. ჯიბეში ორიოდ გროში უდევს. კატას დაეძებს: სურს იყიდოს. შემხვედრნი ილიმებიან. ხოლო ლტოლვილს დიდი ხანია არ ულიმნია. არც ახლა ილიმის. მას სურს კატა იყიდოს. რისთვის? მოჩვენება რომ მაინც შექმნას მონყობისა (чтобы не завестись). კატა კერასთან იქნება. მას არ მოსცილდება.

ეს ნამდვილი ამბავია.

ტრაგიკულობა აქ უკანასკნელ სიმარტივემდეა დასული.

ეს კატა საშექსპირო სახეა.

როცა ეხლანდელ ამშენებლობას ვხედავ სომხეთში, ეს კატა მაგონდება. რამხელა მანძილი გაუვლია სომხეთს ამ კატიდან დღევანდლამდე? მშენებლობა დღეს რკინეულ მაჯისცემით მიდის იქ“. მწერლის საბოლოო დასკვნით: „საბჭოთა ხელისუფლებას ხალხი გადაურჩენია ფიზიკურად. იგივე ხელისუფლება შეძლებას აძლევს ხალხს ფეხზე წამოდგეს და მუხლი მოიმარგოს.

ეს ფაქტი აღიარებულ უნდა იქნას პირნმინდათ.

„მიკიბულ-მოკიბულობა“ აქ დანაშაულობად ჩაითვლება“ [8, 4].

შენიშვნა: განახორციელა თუ არა მწერალმა ეს „საშექსპირო ჩანაფიქრი“ – დრამად, ლექსად თუ პროზაულ ტექსტად ან პერსონულ სახედ, ჩვენთვის უცნობია. გამორიცხული აქ არაფერია.

შეიძლება დავასკვნათ: საბჭოურ მწერალთა დელეგაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ კოლეგებთან და კოლეგებში მყოფი, სომხური სიძველეების ხილვა-მიმოხილვისას მწარედ განიცდის სომხურ-თურქული ეთნოკონფლიქტიდან მომდინარე ლტოლვილების ბედს, თითოეული სომეხი ადგილნაცვალი პირის სულიერ თუ ფიზიკურ ტრაგედიას. ეს კონფლიქტურ-გენოციდური

ისტორიული სამინელება, სამწუხაროდ, XX საუკუნის მინურულის სამხრეთ (ასევე ჩრდილო) კავკასიაშიც განმეორდა რუსთა ნაქეზებითა და ხელშენყობით ყარაბაღის (ყარაბაღელი სომხებისა და ყარაბაღელი აზერბაიჯანელების), აფხაზეთისა (აფსუა-სეპარატისტების) და სამაჩაბლოელი სეპარატისტულად განწყობილი ცხინვალელი და ჯაველ-ზნაურელი ოსების მიერ. როგორც ჩანს, გამოცდილების მიუხედავად, ისტორიული კატაკლიზმები მაინც მეორდება. მეორდება შეცდომებიც და ტრაგიკულად გადადგმული ნაბიჯებიც, რომელთა გამოსწორება სხვადასხვა თაობისაგან ხანგრძლივ, უწყვეტ გონით განსჯას, მსოფლიო დიპლომატიურ რუდუნებას და დიდ დროს მოითხოვს.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ურუშაძე, XX საუკუნის I მეოთხედის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან. გაზ. „საქართველოს სამრეკლო“, 1993, 17 თებერვალი
2. რ. ჯაფარიძე, ერის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი, გაზ. „თბილისი“, 1988, 25 მაისი
3. Ж. ДеМалевил, Армянская трагедия 1915 года, Перевод Аймен Кязимовой. Баку, 1990
4. Джастин Маккарტი, Каролин Маккарტი. Тюркии армяне. Руководство по армянскому вопросу. Перевод санглийского. Перевод осуществлен под руководством Рауфа Асадова. Ответственный выпуск Идаят Оруджев. Послесловие Проф. Ю. Б. Юсупова, Баку, 1996
5. ბ. ცხადაძე, უცხოელი ავტორები სომხურ-თურქული გენოციდის შესახებ. კრებულში: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1 (9), 2011
6. ინტერვიუ არმენოლოგ, პროფ. ბონდო არველაძესთან. „სომეხი ვაი-მეცნიერები ზუგდიდის ეკლესიასაც კი სომხურად აცხადებენ“ – გაზ. „ასავალ-დასავალი“ 2011, (№4(851), 24-30 იანვარი.
7. ა. ჩხიკვიშვილი, წინასიტყვა გრ. რობაქიძის პუბლიკაციური ნარკვევისა: „ჰაიასტან“, გაზ. „თბილისი“, 1990, 13 იანვარი.
8. გრ. რობაქიძე, ჰაიასტან, „ქართული მწერლობა“, თბილისი, 1929, №6 გადმობეჭდილია გაზ.: „თბილისი“, 1990 წლის 13 იანვარი. ვსარგებლობთ ამ უკანასკნელით.

**The Echo of Armenian-Turkish Conflict in Georgian Writers' Thinking
(Letter 1: Grigol Robakidze)**

Summary

According to the author's conclusions based on his travel to Armenia, where he studied Armenian antiquities, while observing-reviewing Armenia of the first two decades of the 20th century Grigol Robakidze in his journalistic essay „Hayastan“ feels deeply „the brutality of time“ as a result of Armenian-Turkish ethnic conflict, sympathizes with the refugees' evil fortune, spiritual and physical tragedy of each displaced person.

Such historical ethnic conflict and separatist-genocidal horror was repeated at the end of the 20th century in Transcaucasia (and North Caucasia), so the writer's deep feeling and sympathy for the Armenian refugees, objectivity and empathy based on humanistic ideals are still perceived as a sympathizing, topical and contemporary act.